საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

თბილისის საქალაქო სამსახური
TBILISI CITY SERVICE

N 09-2/10733
26/10/2017

10733-09-2-2-201710261619

საქართველოს სტრატეგიული კვლევის
და განვითარების ცენტრის პროგრამის
კოორდინატორს ვ. კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

2017 წლის 24 ოქტომბერს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოდან თბილისის საქლაქო სამსახურში შემოვიდა #17519 წერილი, რომელიც ეხებოდა თქვენი ორგანიზაციის მიერ ქ. თბილისის სავაჭრო ობიექტებში შეძენილი სანელებლების 13 ნიმუშის ლაბორატორიული კვლევის შედეგებს და კვლევის შედეგად ერთ-ერთ ნიმუშში („ბლექ სი ჯორჯია"-ს მიერ წარმოებულ სუნელში-ზაფრანა) ტყვიის გადაჭარბებული რაოდენობის აღმოჩენას.

2017 წლის 25 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სამსახურის ინსპექტორების მიერ, შემოწმებით დადგინდა, რომ ი/მ „ბაგრატ მეზურნიშვილი "(იგივე „ბლექ სი ჯორჯია"; მდებარე ქ. თბილისი, სოფ. ნასაგური, ტბის ქ. #8; ს/კ 01017002252) სანელებლების წარმოება/დაფასოებას ახდენს ჰიგიენური ნორმების დარღვევით (საწარმო, სადაც მიმდინარეობს წარმოების ღია პროცესები არ არის კეთილმოწყობილი: ჭერი კედელი იატაკი არ ექვემდებარება რეცხვა/დეზინფექციას; არ ხდება სასმელი წყლით მომარაგება; შესაფუთი მასალა და ნედლეული არ ინახება შესაბამის პირობებში, რაც არ გამორიცხავს სურსათის დაბინძურებას). გამოვლენილი კრიტიკული შეუსაბამობების გამო, ბიზნესოპერატორს შეუჩერდა საწარმოო პროცესი კრიტიკული შეუსაბამობების აღმოფხვრამდე და დაჯარიმებული იქნა 1000 ლარით სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 68-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად. არაკრიტიკული შეუსაბამობების გამოსასწორებლად ბიზნესოპერატორს მიეცა გონივრული ვადა.

სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას ადგილზე არ იყო ყვითელი ყვავილის მარაგი, რის გამოც ვერ განხორციელდა აღნიშნული სურსათის განმეორებითი ლაბორატორიული კვლევა.

ი/მ „ბაგრატ მეზურნიშვილს" დაევალა, ქსელიდან გამოითხოვოს ტყვიით დაბინძურებული, მის მიერ წარმოებული ყვითელი ყვავილი-ზაფრანა (გამოშვებული

ქ. თბილისი 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6
6 Marshal Gelovani Ave., Tbilisi 0159, Georgia
ტელ/Tel: (+995 32) 91 91 67
ფაქ/Fax: (+995 32) 91 91 65
www.nfa.gov.ge
info@nfa.gov.ge

08,06,2017წ. ვადით 18 თვე) და გატარებული ღონისძიებების თაობაზე წერილობით აცნობოს სურსათის ეროვნულ სააგენტოს.

პატივისცემით,

ვასილ გასილაძე

სამსახურის უფროსი